საქმე # 340210016001236582
საქმე №2/66-16

2750340384598

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)
საჯარო შეტყობინების შესახებ

02.09.2016 წელი ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე რომან კუპატაძე

მოსარჩელე - გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა

წარმომადგენელი - მიხეილ უტიაშვილი

მოპასუხე - შპს ,,საგზაო კომპანია"

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიისთვის" დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი მოპასუხე მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიის" მიმართ, სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცილებისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 8 მაისს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,საგზაო კომპანიას" შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 63 999 ლარს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გურჯაანის ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის დაგება და სანიაღვრე არხების მოწესრიგება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდება უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 6 ივნისამდე. შპს ,,საგზაო კომპანიის" მიერ სამუშაოების მიწოდება განხორციელდა 2015 წლის 30 ივნისს.

შპს ,,საგზაო კომპანიის" მხრიდან დაირღვა ხელშეკრულების პირობები, სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცილებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

ვადაგადაცილებულ დროდ ითვლება 2015 წლის 6 ივნისიდან 2015 წლის 30 ივნისამდე პერიოდი, რაც შეადგენს 24 დღეს.

პირგასამტეხლო დღიურად შეადგენს 639 ლარს. შესაბამისად, 24 დღეზე 15 359,76 ლარს შეადგენს.

2016 წლის 26 ივლისს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპაანიას" მოსარჩელე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისრა 15359,76 ლარის ოდენობით, პირგასამტეხლოს გადახდა.

მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიას" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 460,79 ლარის გადახდა.

2016 წლის 26 ივლისს მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიას" გაეგზავნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელში მითითებულ მისამართზე. 2016 წლის 28 ივლისის საფოსტო უკუგზავნილით ირკვევა, რომ მოპასუხეს ვერ ჩაბარდა სასამართლო გზავნილი, ვინაიდან იგი არ იმყოფებოდა აღნიშნულ მისამართზე. 2016 წლის 4 აგვისტოს განმეორებით იქნა გაგზავნილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკუგზავნილიდან ირკვევა, რომ ადრესატს კვლავ ვერ ჩაბარდა სასამართლო გზავნილი მისი მისამართზე არ ყოფნის გამო.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ან ვებგვერდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში - მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.
სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას: კერძოდ, საფოსტო შეტყობინების ბარათებით და საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის მისამართია -ქ. თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ალ.წულუკიძის ქ. კორპ.№23, ბინა №78, თუმცა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაგზავნის მომენტისთვის მოპასუხე ამ მისამართზე არ იმყოფებოდა.
შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია, მაგრამ მას გზავნილი ვერ ჩაბარდა იმის გამო, რომ ის არ იმყოფება მისამართზე, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (დაუსწრებელი გადაწყვეტილების) საჯაროდ გავრცელების შესახებ შეტყობინების გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 70-ე-78-ე, 184-ე, 201-ე, 284-ე-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიას" საჯარო შეტყობინების გზით ეცნობოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

1. მიღებული იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი, შპს ,,საგზაო კომპაანის" მიმართ, სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპაანიას" მოსარჩელე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისროს 15359,76 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა.

3. მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიას" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - 460,79 ლარის გადახდა.

4. მოპასუხეს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში <u>10 (ათი) დღის</u> ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გამოქვეყნდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე შპს ,,საგზაო კომპანიას" ჩაბარებულად ეთვლება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოსამართლე _____ რომან კუპატაძე

ასლი დედანთან სწორია
გურჯაანის რაიონული სასამართლო
ხელმოწერა: _____
06. 09. 2016 წ.